საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№483 2020 წლის 9 მარტი ქ. თბილისი

„ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №434 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №434 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის“ სხვადასხვა ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებებში 2020 წლის 4 მარტიდან 2020 წლის 16 მარტამდე შეჩერდეს მომსახურების მიწოდება (გარდა 24-საათიანი სერვისებისა). საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს, განახორციელოს ცვლილებები შესაბამის სამართლებრივ აქტში

მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის აღნიშნულ პერიოდში მომსახურების ანაზღაურების საკითხის დარეგულირების მიზნით.“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2020 წლის 4 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**